

„თავიშეპირადი უკეთესი წამალია სჯობის ყოველთვის სიჭიბველია. საცა უნდა დაინათ, იგი ყოველთვის სიჭიბველია... ყოველი სახეობისთვის, როგორც წინააღმდეგობა თუ წინააღმდეგობა, ნაწილი-ნაწილია არის დაყოფილი, რომ პოეტი და სიჭიბველია ადვილი იყოს.“

ხობის მოამბე

№12 (7094) 15 დეკემბერი, პარასკევი, 2017 წელი. შპსი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბაჭყალითი ორგანო

ხობის მუნიციპალიტეტის მეთავე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა

როგორც ვიწყობოდით, 20 ნოემბერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მეთავე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

სხდომა №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და თუნა ჯობაძემ გახსნა, რომელმაც ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები შეაჯამა და სიტყვა გადასცა საკრებულოს უზუცეს წევრს ვლადიმერ ქანთარიას.

სხდომაზე საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და თანამდებობის პირების არჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილიქნა დროებითი სამანდატო და ხმის დამთვლელი კომისიები, რის შემდეგ ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულიქნა ედიშერ ჯობაძე, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ - მამუკა ქარდავა.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის საჯარო მოხელეები, მასმედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები. 20 ნოემბრის საკრებულოს სხდომამ ამ საკითხების განხილვის შემდეგ შეწყვიტა მუშაობა და სხდომა 22 ნოემბერს გაგრძელდა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს წევრს ირაკლი ბერაიას ვადაძე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება მის საკრებულოს წევრთან შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეულიქნენ საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები:

სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ - თეა გელანტია; საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ - ტა-

რიელ ალექსანდრია. ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ - ვლადიმერ ქანთარია.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ - დავით ბერაია.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ - დლო გაბუნია,

შემდეგ დამტკიცდა შესაბამისი კომისიების შემადგენლობები და რეგისტრირებულიქნა 2 ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“, რომლის თავმჯდომარედ აირჩა ბექა მამაცაშვილი და ფრაქცია „ხობი“, რომლის თავმჯდომარედ გახდა კობა გოქაძე. ახალი მოწვევის საკრებულო 37 წევრით დაკომპლექტდა, სადაც 22 მანდატი მაჟორიტარულ, ხოლო 15 პროპორციული წესით არჩეულ საკრებულოს წევრებს ერგოთ. აქედან, 29 მანდატი კოალიცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“, 3 მანდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 2 მანდატი „ევროპულ საქართველო“ ხოლო თითო-თითო მანდატი „შალვა ნათელაშვილის საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ და „შენების მოძრაობამ“ მიიღო.

2017 წლის 21 ოქტომბერს არჩეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სია:

ვარაზი გაბედავა, ედიშერი ჯობაძე, დლო გაბუნია, დავით ბერაია, მამუკა ქარდავა, მერაბ ფილიპია, დიტო ხასია, შადიმან ჭილაია, ირაკლი ბერაია, მამუკა ჭოხონელიძე, როლანდი სერგია, ია ჯიშკარიანი, თემური გულუა, ირაკლი ნადარაია, კახა ლატარია, კონსტანტინე ნასარაია, ვლადიმერ ქანთარია, ნიკოლოზ ვეკუა, მერაბ ნადარაია, ფრიდონ შონია, გონა ჯობაძე,

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე აირჩია



ედიშერი ჯობაძე დაიბადა 1974 წლის 6 ივლისს ქალაქ ხობში, ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ხობში. დაამთავრა ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტი (კვალიფიკაცია-ეკონომისტი). წარმოების მართვის სპეციალისტის პროფესიით. სხვადასხვა დროს მუშაობდა: 1998-2000 წ.წ.-სს „საფოსტო ბანკის“ ხობის ფილიალში ეკონომისტად; 2000-2002 წ.წ.-ქალაქ ხობის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ, აპარატის უფროსად; 2007-2008 წ.წ.-შპს „შავი ზღვის ტერმინალი“, ჩატვირთვის ინსპექტორ-ოპერატორად; 2008-.2013წ.წ.-შპს „შავი ზღვის ტერმინალი“, უსაფრთხოების მთავარი ინსპექტორად, ტერიტორიის ტექნიკური ზედამხედველად; 2008-2009 წ.წ.-იყო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; 2013-2014-ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად; 2014-2017წწ.-ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. 2017 წლის 20 ნოემბრიდან მეორედ იქნა არჩეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეთავე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



მამუკა ქარდავა დაიბადა 1967 წლის 16 ოქტომბერს, ქალაქ ხობში, ცხოვრობს ქალაქ ხობში. არის უმაღლესი განათლებით ინჟინერ მექანიკოსის პროფესიით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: 2004-2010 წწ. იყო საქართველოს კონსერვატიული პარტიის ხობის ორგანიზაციის თავმჯდომარე; 2010-2012 წწ. მუშაობდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-დემოკრატების“ თავმჯდომარედ; 2012- 2014 წწ. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ; 2014 -2017 წწ. არის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; 2017 წლის 20 ნოემბრიდან მეორედ იქნა არჩეული მეთავე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თეა გელანტია, თენგიზ აბაკელია, მზია ლემონჯარია, გონა სიჭინავა, აკაკი ხურცილავა, კობა გოქაძე, იგორ გოგოლაძე, ავთანდილ ხუნჯუა, კახა მიქაბერიძე, ტარიელ ალექსანდრია, ბექა მამაცაშვილი, გია წულაია, გიგა ნასარაია, გენადი ქაძანია, ლაშა ცაჭავა, აბელი ქირია, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

5 დეკემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობაძე. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის: საკრებულოს სხდომაზე ცნობილიქნა საკრებულოს წევრის რამინ ხილაძის უფლებამოსილება, როგორც ვადაძე უფლებამწვევითი საკრებულოს წევრის ირაკლი ბერაიას უფლებამონაცვლის. საკრებულოს წევრს ირაკლი ბერაიას უფლებამოსილება ვადაძე შეუწყდა პირადი განცხადების საფუძველზე, საკრებულოს წევრისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. ამავე სხდომაზე უფლებამოსილება შეუწყდა საკრებულოს წევრს ვარაზ გაბედავს, მისი ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველ მოადგილედ დანიშვნის გამო. საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე გაუქმდა ფრაქცია „ხობი“, რომელიც შექმნილი იყო სამი წევრის შემადგენლობით, მისი ერთ-

ერთი წევრის ი. ნადარაიას მიერ ფრაქციის დატოვების გამო, საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ფრაქციის გაუქმების შესახებ. განკარგულების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, მერს მიეცა თანხმობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქ. 185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულზე განთავსებული საოფისე ფართი 6,6 კვ. მეტრს, გაიცეს ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლებით, იჯარით, აუქციონის წესით. ხოლო განკარგულების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ასევე მიეცა თანხმობა მერს ქალაქ ხობში, ცოტნე დადიანის ქ.№188-ში მდებარე, ამორტიზირებული შენობის გასხვისებაზე, მისი შემდგომი პრივატიზების მიზნით.

ამ და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიებისა და ფრაქციის თავმჯდომარე აირჩია



თია ბექტინა – სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა 1975 წლის 15 მაისს ქალაქ ხობში. ცხოვრობს ქალაქ ხობში, არის უმაღლესი განათლებით, სპეციალობით პედაგოგი (დაწვევებით სწავლების პედაგოგიკა და მეთოდოლოგია). სხვადასხვა წლებში მუშაობდა 2007-2016 წწ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში პედაგოგად. 2017 წლიდან ოქტომბრის ბოლომდე მუშეუმების გაერთიანების მენეჯერად. 2017 წლის 22 ნოემბრიდან მუშაობს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. არის სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.



ტარიელ ალქასანდრია – საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა 1981 წლის 27 ოქტომბერს ქალაქ ხობში, ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ფოთში. არის უმაღლესი განათლებით, დაამთავრა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებული მცირე აკადემია-ბიზნესის ფაკულტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერის სპეციალობით სხვადასხვა წლებში მუშაობდა ტელეკომპანია „იმედი“-უსაფრთხოების ოფიცერად, იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს-სტაჟიორი სამშენებლო კომპანია „SMP-164“ ობიექტის ხელმძღვანელი (რუსეთი) ასევე იყო მეტალო პლასმასის კომპანია „LEGO“ მენეჯერი (რუსეთი) და ტაქსოპარკის მენეჯერი. 2014-2017 წწ. არის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. 2017 წლის 22 ნოემბრიდან მეორედ იქნა არჩეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.



დავით ბერაძე – იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა 1969 წლის 14 ივნისს ქალაქ ხობში, ამჟამად ცხოვრობს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ ხორგაში. უმაღლესი განათლებით. დაამთავრა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: 1985-86 წწ. ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის სანერგე მეურნეობის მუშად; 1992-94 წწ. ხობის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების სპეციალისტად. 1994-1996 წწ. ხობის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის იურიდიული განყოფილების გამგე, თავმჯდომარის თანამშემვედ. 1998-2004 წწ. ხობის მიწის მართვის სამმართველოს საადგილმამულო დავების მთავარ სპეციალისტად. 2005-2006 წწ. შპს „უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის ცენტრი“ იურისტად. 2006-202016 წწ. იყო №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი. 2016-2017 წწ. მუშაობდა ინდ საწარმო „თენგონა ბუკია“-კონსულტანტად. 2017 წლის 22 ნოემბრიდან არის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე. დასაოჯახებული.



ვლადიმერ ქანთარია – ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა 1950 წლის 23 ნოემბერს ქალაქ ხობში, ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ხობში. უმაღლესი განათლებით, დაამთავრა ქ. კიევის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, ექიმ თერაპევტის პროფესიით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა 1977-1981 წწ. ფოთის ქალაქის საავადმყოფოში ექიმ თერაპევტად. 1981-85 წწ. იყო ხობის რაიონული სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი. 1985-88 წწ. ხობის რაიონული საავადმყოფოს ექიმი თერაპევტი. 1988-90 წწ. იყო ქ. თბილისის თერაპიის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის კლინიკური ორდინატორი. 1991-95 წწ. მუშაობდა ხობის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ. 1995-2011 წწ. იყო ხობის რაი საავადმყოფოს ღირექტორი. 2011-2017 წწ. მუშაობდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. 2017 წლის 22 ნოემბრიდან არის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.



ლოლო ბაბუნია – საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა 1956 წლის 21 თებერვალს ქალაქ ცხაკაიაში (სენაკი), ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ხობში. უმაღლესი განათლებით, დაამთავრა ლენინგრადის (პეტერბურგი) პედაგოგიური ინსტიტუტი, პროფესიით ექიმი პედატრი, არის ოჯახის ექიმი. სხვადასხვა დროს მუშაობდა: 1979-1981წწ. ენგურესის სამედიცინო-სანიტარულ ნაწილში-ექიმ პედატრად, 1981-2014 წწ. იყო ხობის რ/ც საავადმყოფოში ექიმი პედატრად. 2014-2017 წწ. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. 2017 წლის 22 ნოემბრიდან მეორედ იქნა არჩეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



ბეპა მამაცაშვილი – ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე. დაიბადა 1991 წლის 27 დეკემბერს ქალაქ სენაკში, ამჟამად ცხოვრობს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდში. პროფესიით არის ეკონომისტი (საბანკო საფინანსო და სადაზღვევო საქმე). სხვადასხვა წლებში მუშაობდა დაზღვევის კომპანია „ქართუ“-ს წარმომადგენლად და „შპს“ ტრანსფორდი“-კომერციული განყოფილების უფროს ინსპექტორად. 2017წლის 22 ნოემბრიდან არის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე. დასაოჯახებული.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ყულევი წყალსადენის სისტემის მშენებლობა დაიწყო



სახლეობა წყალს ახალი მაგისტრალის მეშვეობით მიიღებს.

ეს პროექტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყულევისთვის, რადგან დასახლებაში არსებული წყალი სასმელად გამოუსადეგარია და ადგილობრივ მოსახლეობას წყალი, ღღემდე ცისტერნების მეშვეობით მიეწოდება. ყულევის და ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის კეთილმოწყობისა და სასმელი წყლის მიწოდების საკითხი წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო, მაგრამ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობის შედეგად ეს ორივე პრობლემა მოგვარდება—შუა ხორგა-ქარიატა-ყულევის დამაკავშირებელი 16 კილომეტრიანი გზის მშენებლობა მიმდინარეობს, ხოლო წყლის სისტემის მშენებლობას დღეს ჩაეყარა საფუძველი—განაცხადა პარლამენტის დეპუტატმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ.



1 დეკემბერს ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალსადენის სისტემის მშენებლობა დაიწყო. წყალსადენი სისტემის მშენებლობის დაწყება საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, სობის მუნიციპალიტეტის მერმა გონა ქაჯაიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დაათვალიერეს.

—დღეს, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო—ყულევის, ქარიატისა და შუა ხორგის მო-

შუა ხორგის, ქარიატის და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის მშენებლობა ორ ეტაპად განხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 920 ათას ლარს შეადგენს. მაგისტრალის სიგრძე 34 კილომეტრია და სამუშაოების დასრულების შემდეგ 2000-მდე მოსახლე სასმელ წყალს მიიღებს.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება

გენდერული პარტნიორობის განხორციელება

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ირაკლი (დაჩი) ბერაიას ბიუროს ხელმძღვანელი პაატა ბერაია ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდნენ. საკრებულოს თავმჯდომარემ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოს მიერ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სობის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებებს შორის მოწონებულ იქნა შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის



სოფელ გამოლმა შუა ხორგაში სამ კილომეტრიანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ წინადადება. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში 2018 წელს დაგეგმილი სამუშაოები, მთლიანად მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითაა შემუშავებული.

გენდერული ქალაქობის წინააღმდეგ

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიას სობის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის საერთაშორისო დღეს—25 ნოემბერს დაიწყო და 10 დეკემბერს—ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს დასრულდა.

კამპანიის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერება.

კამპანიის ფარგლებში სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში სობის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ორგანიზებულიქნა შეხვედრა საზოგადოებასთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

დამსწრე საზოგადოებას, გენდერული თანასწორობის საკითხებში სობის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველის თამუნა სიჭინავას მხრიდან მიეწოდა ინფორმაცია გენდერული ძალადობის შესახებ, ასევე—ძალადობის შემთხვევაში მოქალაქეთათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით ფუნქციონირებადი ცხელი ხაზის (116 006) და იმ სახელმწიფო სერვისების შესახებ, რომელიც ძალადობის მსხვერპლს მიეწოდება. შეხვედრაზე ნაჩვენები იქნა კლიპები, რომლებიც ძალადობის თემაზე შეიქმნა, მათ შორის—ქ. სობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ გადაღებული ვიდეორგოლი, რომელმაც პროექტის „საზოგადოებრივი პროკურატურა“ ფარგლებში გამოცხადებულ ვიდეო კონკურსში გაიმარჯვა და საქართველოს მასშტაბით შესამე ადგილზე გავიდა.

შეხვედრას სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ვიდეო მერი ვარაზ გაბედავა ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.



ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერება.

შეხვედრას სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ვიდეო მერი ვარაზ გაბედავა ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

„კინო-სკოლაში“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა

10 დეკემბერს, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ პროექტის „კინო სკოლაში“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, პროექტში საქართველოს რეგიონებიდან 216 სკოლა მონაწილეობდა და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები გამოვლინდნენ, სადაც საუკეთესო ფილმების ნომინაციაში შესამე ადგილი ქალაქ სობის №1 საჯარო სკოლამ დაიკავა.

პროექტი „კინოსტუდია-ქართული კინო“, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ადმინისტრაციის ინიციატივითა და „კინო სკოლაში“ Creative Europe-ს მხარდაჭერით ჩატარდა, რომლის მხარდაჭერითაა ეროვნული კინოცენტრი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კინოკადემია და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.

პროექტი მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. „კინო სკოლაში“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერითა და საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, ყოველწლიურად იმართება.

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქალაქ სობის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს წარმატებას ულოცავს.

შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან



ექტს - „საქართველოს რეგიონებში განახლებად ენერჯიაზე სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვისა და გავრცელების გზით“ ახორციელებს.

პროექტის შესაბამისად, ახალი ხიბულისა და ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულებში დამონტაჟდა მზის ენერჯიაზე მომუშავე ოთხი მოწყობილობა; ხოლო, ხეთისა და საჯიჯაოს საბავშვო ბაღებში სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ასევე დამონტაჟდა მზის ენერჯიაზე მომუშავე შვიდი წყალგამაცხელებელი კოლექტორი. ორგანიზაციის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მართავდნენ და მათ პროექტის მიზნებზე და ამოცანებზე აწვდიდნენ ინფორმაციას.

„მწვანე მომავალი“ პროექტს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

სობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე მომავლის“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე ურთიერთთანამშრომლობის საკითხებსა და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ სობის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე მომავალი“ სობის მუნიციპალიტეტის ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში პრო-

გზა — დიდი მწერლობისკენ!..



ნიკა ვადაქარია-ლიტერატურული კონკურსის ლაურეატი

შუალებითაც გაიგო ჩემი სახელი ურნალ „განთიადის“ მკითხველმა, ეს იყო ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი წინსვლა ჩემს ცხოვრებაში. მოთხრობის იდეა ამ კონკურსამდე დიდი ხნის წინ დამებადა, ოღონდ ვფიქრობდი უფრო სქელტანიანსა და მასშტაბურზე. რაღაც დროის შემდეგ გამოცხადდა კონკურსი

„ადამიანი და ბუნება“, რომელმაც მომცა საშუალება ეს იდეა გამეხორციელებინა, სამწუხაროდ, ეს კონკურსი არ აღმოჩნდა წარმატებული ამ მოთხრობისთვის, რადგან უფრო მეტად ეკოლოგიას შეეხებოდა და „თეთრი მწერალი ყვავი“ ვიყავი უამრავ კარგ ეკოლოგს შორის. მაღევე გამოჩნდა ზედგამოჭრილი კონკურსი „13 ივნისისთვის“ და წარმატებაც მოვიდა. ამბავი 13 ივნისზეა, თბილისის ტრაგედიაზე, რომელმაც ორი ხობელი, დების ლიზა და ინდი ზარანდიების სიცოცხლე იმსხვერპლა. მოთხრობამ პირველი ადგილი დაიკავა პროზაისტიკის ჟანრში, მოეწყო დაჯილდოების ცერემონიალიც.

აღბათ ამ მოთხრობას ოდესმე ვაქცევ სქელტანიან წიგნად, არ აქვს მნიშვნელობა იქნება თუ არა წარმატებული, წაკითხვადი, ეს იქნება დიდი ტკივილის გამოხატულება, ძალიან დიდი სიხარულის, თვითკამათების და სულის სიმშვიდის საბაბი ჩემთვის—მიყვება ის.

ეს ნიჭიერი ბიჭუნა ხობელი ნიკა ვადაქარიაა. ცხოვრობს გურიფულში. მშობლები ახა ალექსანდრია და ზაზა ვადაქარია ბიზნეს-საქმიანობით არიან დაკავებულიები.

როცა ნიკას წარმატებებზე წავიკითხე ურნალ „განთიადში“, დავინტერესდი და რედაქციაში მოვიხმე. გავიგე, რომ ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეა. მისი ჰობი წერაა, უყვარს ლიტერატურა... პირველად მე-7 კლასიდან დაიწყო ლიტერატურის წერა, შემდეგ ქმნიდა პატარა-პატარა მოთხრობებს, აკეთებდა ჩანაწერებს, სკოლაში თავისუფალ თემას როცა წერდა, ბევრს ფიქრობდა თანაც ეძიებდა მასალებს ხან წიგნებში, ხან ინტერნეტში და ასე ივსებდა თავის გონებას ცოდნით. ასეთმა დაინტერესებამ და ძიებამ უფრო გააღრმავა ინტერესი რა-

მე ღირებული შექმნა. წორედ ამ დროს გამოცხადდა მისთვის საინტერესო ესეების კონკურსი, გადაწყვიტა მასში მიეღო მონაწილეობა და თავისი შექმნილი ნაშრომი კონკურსისთვის გადააგზავნა...

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ურნალ „განთიადის“ 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ კონკურსში, რომელიც უკვე წარმატებით დასრულდა, მონაწილეობდნენ საქართველოს საჯარო სკოლების მწერლობის ნიჭით დაჯილდოებული პედაგოგები და მოსწავლეები.

კონკურსის მიზანი განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული ადამიანების გამოვლენა იყო, რომელიც შეიძლება ითქვას, ბევრი მათგანისთვის დებიუტი გახლდათ. საქართველოს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა შორის ასეთ უჩინარ მოსწავლეთა რიგებს ავსებდა ხობის №2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ნიკა ვადაქარია. მათი შეფასება ხდებოდა კომპეტენტური ჟიურის მიერ ათბალიანი სისტემით.

11 ლიტერატურული პრემია, რომელიც კონკურსგადასახულმა მონაწილეებმა (ავტორებმა) მოიპოვეს, ერთერთი ნიკა გახლდათ. მან მოსწავლეთა შორის პროზაში I პრემია დაიმსახურა.

ღიახ, ნიკა ვადაქარია პროზის ჟანრში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლ-ლიტერატურული ურნალ „განთიადი“ მიერ დაწესებული ლიტერატურული პრემიის ლაურეატი გახდა. მას ლაურეატის დიპლომი და ფულადი პრემია (500 ლარი) გადაეცა 2017 წლის ივნისში...

„ეს ერთი და სხვა მრავალი“, ასე დავემოძღვრე ნიკას. მისი ეს ნაშრომი აუცილებლად გამოქვეყნდება ლიტერატურულ ურნალ „განთიადში“, ჩვენ, ურნალისტებმა გადავწყვიტეთ „ხობის მოამბედან“ გზა და ვულოცოთ ნიჭიერ მოსწავლეს და მრავალი ახალი პროზაული ნაწარმოების შექმნა ვუსურვოთ.

დაე, ნიკა ვადაქარია ქართველ მწერალთა დიდი პლეადის ღირსეული წარმომადგენელი გამხდარიყოს.

ნანი კილასონია.

თაობა

საუბრი ივნისი

—ხელი არ გამიშვა ლიზა.
—არ გაგიშვებ.
—მეშინია.
—მეც მეშინია ინდი.
—რა დავაშავეთ. რა დავუშავეთ. მოგვკლავს. დაგვანგრძობს.
—ხელს არ გაგიშვებ ინდი. გაირღებო.
მდინარე ვერე ლაგამს აიშვებს. ცხოველები თავისუფლებას მოიპოვებენ და შურს იძიებენ.

თბილისი, საქართველო. 1963

—გილოცავთ, მიწა თქვენია. მიიხმარეთ ისე, როგორც გაგიხარებთ.

თბილისის გაზაფხულის თბილმა სიომ კუშტი გარეგნობის, მაღალ, სოლიდურად გამოწყობილ კაცს შავი თმა შეურხია. კაცმა გვერდით მდგომს ხელი ჩამოართვა და მოშორდა ვერეს ხეობას. მდინარესთან ერთი კაციღა დარჩა. მის წინ გადაშლილ ხედს თვალი მოავლო და გაიფიქრა. „შეგცვლი. გამოგძერწავ. შენ დიდ სარგებელს მომცემ, ძალიან დიდს“.



„დიდი შეცდომა დაშვებულიქნა შესაბამისი

სახელმწიფო უწყებების მიერ, მაშინ, როცა უშუალოდ კალაპოტისპირა დაბალ ტერიტორიებზე დაიწყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების დაპროექტება და მშენებლობა. ასეთი ნაგებობები მდ. ვერეს ჭალაში და ჭალისპირა დაბალ ტერიტორიებზე აგებული, რომელთა ზედაპირი ელემენტარული გეოგრაფიული გაგებით პერიოდულად იტბორება ძლიერი წყალდიდობების დროს“, — რასაც ორგანიზაცია CENN დაუშვებლად მიიჩნევს.“

მას შემდეგ წლები გავიდა, რაც შავთმიანი კაცი ვერეს ხეობას მოსცილდა კმაყოფილი გულით, თითქოს დიდი საქმე გააკეთებინა. ვერეს ხეობა კი იცვლებოდა დღითი დღე. სანაპიროზე აიგო დაბალი ნაგებობები და გაიმართა სამურხეო სამუშაოები. მიწა სულ მთლად შეიცვალა. მართლაც, რომ გამოიძერწა და დაკარგა უნარი წყლის შეკავებისა.

ეს და სხვა ფაქტორი გახდება მიზეზი ბუნების შურისძიებისა. მდინარე ვერე ლაგამს აიშვებს, ცხოველები თავისუფლებას მოიპოვებენ და შურს იძიებენ.

თბილისი. 2015. 13 ივნისი. დღი

—ინდი, სათვალე არ დაგრჩეს. —მომაქ-წითურმა გოგონამ დას გაუღიმა და ბინის კარები მიიხურა. თბილი და მყუდრო ბინა იყო, ყოველ შემთხვევაში ლიზის და ინდის მოსწონდათ, დილით ადრე მიდიოდნენ უნივერსიტეტში და ღამით გვიან ბრუნდებოდნენ სახლში. დამქანცველი დღის შემდეგ ეს ბინა იყო მათი სამოთხე. იმ დღით ლიზას განსაკუთრებით გაუჭირდა ამ ბინის დატოვება. როცა კარებს იხურავდა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი კედლებს, მასზე დაკიდებულ ლამაზ, დიდ საათს და ტანსაცმლის

საკიდს. გაეღიმა და თავის წითურ დას გაყვა უკან. კიბეები ჩაირბინეს, კორპუსიდან გავიდნენ და მეტროსკენ გასწიეს. ყველაფერი კარგად მიდიოდა. თბილისის დილის ზუზუნის ატკობდა მათ ყურებს. მზის სხივებიც უკვე საკმაოდ ძლიერად და თავისუფლად დანავარდობდნენ დედამიწაზე. ინდი კვლავ წინ მიდიოდა, მიაპობდა პაერს და თან თავის შემოდგომისფერ თმას მი-აფრიალებდა. ლიზა ისევ დილის ზუზუნს უსმენდა და თითოეული უჯრედით შეიგრძნობდა თბილ ნიავს. ის გრძობდა სიყვარულს მზის სხივებში, ფოთლების შრიალში. ყველაზე უსაფრთხო გრძობდა თავს და ფიქრობდა იმაზე, თუ როგორი მაგარი იქნებოდა უკვე დამდგარი ზაფხული. მას ისე ენატრებოდა ზღვა. ინდი თავის შეყვარებულზე ფიქრობდა. საღამოს მას უნდა შეხვედროდა. დები მეტრო-

ში ჩავიდნენ და თან ჩაიყოლეს თბილისის სურნელი.

ივლიტა

ივლიტამ ჭიქიდან ჩაი მოსვა და ფანჯრიდან თავის ქუჩას მოავლო თვალი. მისი დილის რუტინა ფინჯანი ჩაით დაიწყო და მეგობრის სტუმრობით უნდა გაგრძელებულიყო. გოგონამ მეგობარს დაურეკა — რომელზე მოხვალ?

—არ ვიცი ივლიტა, ალბათ ნაშუადღევს.

—კარგი, გელოდები.

—გაკოცინი. ივლიტა ფანჯარას მოშორდა და ფილმი ჩართო. ფილმი სიყვარულზე. ძალევე მოხვალა, საგარძელში მოკლათდა და ჩაეძინა. მანქანების ხმაური ოთახში შემოდიოდა, ივლიტას კი მშვიდად ეძინა.

შუშმა

თეთრი ბოკერი პატარა სახლიდან გამობავჯავდა და ვოლიერის გისოსებს მიუახლოვდა, ყველაფერი მშვიდად იყო. არც მამუნები გასწყვიდნენ და არც სირაქლეები. არც აუტანელი ბავშვები. მარტო ზოპარკის მომვლელები იყვნენ ირგვლივ. შუშმა ვერ იტანდა ამ ციხეს. მარტო გულიყო უყვარდა. აი ის ქალი ყოველ დღე, რომ ეფერებოდა და საჭმელს აჭმევდა. შუშმას მისი ხელების შეხება მოსწონდა. მოსწონდა როცა, ხშირ, ფუმფულა და თეთრ ბეწვში თითებს უცურებდნენ. მზის სხივები შუშმას დიდ საყვარელ თვალებს ჭრიდნენ. მისი დედა სხვა, უფრო დიდ გალიაში იყო. როგორ ენატრებოდა დედა. მაგრამ მისი ნახვა ჯერ არ შეეძლო. სამაგიეროდ მასთან ერთი პატარა, საყვარელი პუდელი ცხოვრობდა. შუშმა მეგობრობდა მასთან, როგორც კი შუშმა გაიღვიძებდა პატარა მეგობარიც ეგრევე წავა-

თქალსახისი

საპენსიო რეფორმა — ღირსეული სიბერის გარანტი

საპენსიო პოლიტიკის შემუშავება ქვეყნისთვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული შემადგენლობა. საქსტატის მონაცემებით მკვეთრად გაიზარდა პენსიონერთა რიცხვი და მოიმატა საპენსიო ასაკის მოსახლეობამ, რამაც გამოიწვია საპენსიო ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა. პროგნოზის მიხედვით, საპენსიო ხარჯების ზრდის ტენდენცია გაგრძელდება, რაც შესაბამისად დააწვებს სახელმწიფო ბიუჯეტს და საპენსიო ხარჯებმა შესაძლოა, მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტთან ზღვარს მიაღწიოს 2060 წლისთვის.

მელიც არეგულირებს დაგროვებით პენსიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის პროექტი განსაზღვრული შენატანების სქემას გულისხმობს. კერძოდ—თითოეული დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო, კანონით სქემის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განახორციელებს შენატანებს—თითოეული დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2%-ის ოდენობით, რაც შეეხება თვითდასაქმებულ პირებს—ისინი განახორციელებენ შენატანს თავისი შემოსავლის 4%-ის ოდენობით. სახელმწიფო კი როგორც დასაქმებულების, ასევე თვითდასაქმებულების სასარგებლოდ მათ დამატებით გადაურიცხავს დასაბეგრი შემოსავლის 2%-ს. ფაქტიურად სახელმწიფო 2%-ით ასუბსიდირებს თავის დასაქმებულ ადამიანებს.

მწიფო ფონდში მონაწილის სასარგებლოდ რიცხავს მისი ხელფასის 1%-ს, ხოლო თუ წლიური ხელფასი 60000 ლარზე მეტია, სახელმწიფო ამ სქემაში არ მონაწილეობს. რაც მეტია მონაწილის ხელფასი, მით მეტია საპენსიო ფონდში მის ანგარიშზე დაგროვილი ფული. ამასთან მოხდება დაგროვილი თანხის ინვესტირება. რის შედეგადაც მას საინვესტიციო შემოსავალიც დაერიცხება. შესაბამისად, სისტემაში ჩართულ მოქალაქეს საპენსიო ასაკისთვის უკვე ექნება გარკვეული დანახოვი, რომელიც სახელმწიფო პენსიასთან ერთად გააუმჯობესებს მისი სოციალური უზრუნველყოფის დონეს საპენსიო ასაკში.

თარ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხა ერთჯერადად ან პროგრამული გადახდის ფორმით, ან მოითხოვოს მისი გადატანა არჩეულ სადაზღვევო კომპანიის მიერ დაფუძნებულ კერძო დაგროვებით საპენსიო სქემაში მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე. პროგრამულად გასაცემი თანხის ოდენობა გამოითვლება ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მონაწილის პენსიაზე გასვლის თარიღისთვის რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების მონაწილის სიცოცხლის მოსალოდნელი დარჩენილი ხანგრძლივობაზე გაყოფით, რომელიც ეყრდნობა საქსტატის მიერ უზრუნველყოფილ მონაცემებს მოსახლეობის ასაკობრივი განაწილების და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებ. დაგროვებითი სქემის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში, მის ინდივიდუალურ ანგარიშზე არსებული თანხები გაიცემა მემკვიდრეზე. ის ადამიანები, ვინც სუბიექტური, თუ ობიექტური ფაქ-

ტორებიდან გამომდინარე ვერ მოხვდნენ შრომით ბაზარზე და შესაბამისად არც პენსიის დაგროვების შესაძლებლობა მიეცათ, მიიღებენ სახელმწიფო პენსიას, რაც ექნება იმ დროისთვის გათვალისწინებული. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის პროექტის ნეგატიურ მხარეზე საუბარი გამოვირდება, შესაძლოა, მომავალში გამოიკვეთოს. მაგრამ ამ ეტაპზე არ ჩანს ამის საფრთხე. რაც შეეხება პოზიტიურ მხარეს, ასეთი ძალიან ბევრია. განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის გადანაწილება ხდება დამსაქმებელს, დასაქმებულსა და სახელმწიფოს შორის, სახელმწიფო გვაძლევს შესაძლებლობას საკუთარ სიბერეზე ვიზრუნოთ, გვექნება გარკვეული დანახოვი, არ ვიქნებით დამოკიდებული სახელმწიფოზე, შვილზე. ჩვენ გვექნება ჩვენთვის დაგროვილი ფული ე.ი. დანახოვი. სახელმწიფო ინვესტირებით იზრუნებს, რომ დაგროვილმა ფულმა გაუძლოს ინფლაციას და მოგვბაც დაერიცხოს. ამრიგად კანონპროექტში ყველა პირობა ჩადებული იმისთვის, რომ დაგროვებითი პენსია გახდეს ღირსეული სიბერის გარანტი.

მარიანა ახალაია, სოციალური მომსახურების სააგენტოს სობის რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მთავარი სპეციალისტი.

სასოფლო სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერება ფართოდ გავრცელებულია თანამედროვე მსოფლიოში. ევროპასა და ამერიკაში ფერმერთა აბსოლუტური უმრავლესობა მიმართავს ამ მეთოდს. თუ ჩვენ გვსურს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივი ჯიშების პროდუქტიულობის გაზრდა, ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ბევრად მოკლე პერიოდში შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღება, რადგან გვაქვს ჯიშის შერჩევის ფართო არჩევანი მეხორცული, მერძეული და კომბინირებული მიმართულებით.

აძლევს გადაადგილდეს შორ მანძილზე, ხოლო მამისგან მალე პროდუქტიულობა და საუკეთესო გენეტიკა. ბუნებრივი განაყოფიერების დროს ვაწყდებით მრავალ სირ-

რი განაყოფიერება ჩატარდეს წარმატებით და მომხმარებელმა მიიღოს სასურველი შედეგი, მან უნდა დაიცვას აუცილებელი პირობები: პირუტყვის მეპატრონემ ან მომვლელმა უნ-

და გამოავლინოს ახურებაში მყოფი ფური და ღროულად შეატყობინოს ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტს. ფური უნდა იყოს ჯანმრთელი და იმყოფებოდეს სხეულის დამაკმაყოფილებელ კონდიციაში. (200-250 კგ ცოცხალი წონა). განაყოფიერებიდან ორი დღის განმავლობაში ფური მოვარიდოთ ნახირს, დაავადებებისა და ბუნებრივი განაყოფიერების თავიდან ასაცილებლად. მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნური განაყოფიერება არ აყენებს ზიანს ცხოველს და ხელს არ უშლის შემდგომ ეტაპზე მის ბუნებრივად განაყოფიერებას.

სობის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ინიციატივითა და ადგილობრივი წლებში ხელოვნურად განაყოფიერებულიქნა 115 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. დღეის მდგომარეობით დაბადებულია 20 ხბო. სობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილია სუბსიდია, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების 80%-იან თანადაფინანსებას. ფერმერი იხდის მხოლოდ 20 ლარს ერთი სულის განაყოფიერებაზე. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს ძირითადი სარძეო და სახორცე ჯიშის (ჯერსი, შვიცი, პოლშტინი) საქონლის ღრმად გაყინული სპერმა ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერებისთვის. პროექტი ხორციელდება 2015 წლიდან და გრძელდება 2017 წელსაც. დაინტერესების შემთხვევაში ფერმერებს შეუძლიათ მიმართონ: ვეტერინარ ექიმს-ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტს - დიმიტრი ხურცილავას: ტელ:-571 70 72 39, ელ. ფოსტა: dkhur2010@agruni.edu.ge

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი განაყოფიერების სობის მუნიციპალიტეტში

სობის მუნიციპალიტეტის გეგმვითი ორგანო
გამომცემელი: სობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილაია, ნანი კილასონია, როზეტა შუღია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა-ჯულიეტა ლატარია. გაზეთი აქწყო და დაკაბადონდა სობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.